ხელშეკრულება № 122

ქ. თბილისი **2023 წ.**

ერთის მხრივ, **აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა სამინისტრო, ს/კ 249259582** (შემდგომში - „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი მინისტრის მოადგილის **გიორგი ბულისკერიას** სახით და მეორეს მხრივ, **ი/მ ავთანდილი ობოლაძე, ს/კ 60001118924** (შემდგომში - ,,მიმწოდებელი“), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 14 მარტის N839 განკარგულების **(SMP230000758)** და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2023 წლის 27 მარტის N37 განკარგულების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 “ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში -„ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების საორიენტაციო ღირებულება“- საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი“- პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „მომსახურეობის“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს დევნილთა საცხოვრებლებში მცირეფასიანი და გადაუდებელი სარემონტო სამუშაოების უზრუნველყოფის ქვეპროგრამის (პროგრამული კოდი 11 04 01) ფარგლებში **ხელშეკრულების დანართებში (დეფექტური აქტი და ხარჯთაღრიცხვა) ასახული მცირე სარემონტო სამუშაოების შესრულება (CPV45400000).**

2.2. შესასრულებელი სამუშაოს აღწერილობა და ღირებულება განსაზღვრულია თანდართულ დანართებში **(დეფექტური აქტი და ხარჯთაღრიცხვა),** რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1.ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **2163,00 (ორი ათას ას სამოცდასამი ლარი და 00 თეთრი) ლარს** საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

3.2. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება, ან უარესდება

ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

მუხლი 4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება), რომლის მიზანია მომსახურების შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

4.2. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების კონტროლს (ინსპექტირებას) შემსყიდველის მხრიდან ახდენს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა მინისტრის ბრძანებით შექმნილი ინსპეტირების ჯგუფი.

4.3. ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიწოდებული მომსახურეობის ხარისხის ინსპექტირება.

4.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველის მიერ ინსპექტირების (ტექნიკური ზედამხედველობის) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა მომსახურების პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს შემსყიდველი.

4.5. შემსყიდველის ინსპექტირების ჯგუფი უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნი (დეფექტი), მიმწოდებელი ვალდებულია მოახდინოს რეაგირება და საკუთარი ხარჯებით გამოასწოროს წუნი (დეფექტი), ამ წუნის გამოსწორებისთვის საჭირო გონივრულ ვადაში (გონივრული ვადა განისაზღვრება წუნით შესრულებული სამუშაოს მოცულობის შესაბამისად);

4.6. მიმწოდებელი პასუხისმგებელია ინსპექტირებისა და ვალდებულებების შესრულების პროცესის კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით შემსყიდველისათვის მიწოდებული ინფორმაციისა და ანგარიშების სისწორეზე და ნამდვილობაზე.

მუხლი 5. მომსახურეობის ხარისხი და გარანტია

5.1 ,,მიმწოდებელი'' იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ შესრულებული სარემონტო სამუშაოები არ გამოავლენს ხარვეზებს და შესრულებული იქნება ჯეროვნად და ხარისხიანად, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს გამოვლენილი ხარვეზის გამოსწორება.

5.2 ,,შემსყიდველი'' უფლებამოსილია წარადგინოს პრეტენზია განხორციელებული მომსახურეობის ხარისხის თაობაზე. ,,მიმწოდებელი'' ვალდებულია წერილობით ან სიტყვიერი შეტყობინების მიღებისთანავე დაიწყოს მუშაობა გამოვლენილი ხარვეზის აღმოფხვრის ან შეცვლისთვის საჭირო ზომების განსახორციელებლად და დაუყოვნებლივ გამოასწოროს ხარვეზი.

5.3 შემსყიდველისათვის მიწოდებულ სამუშაოებზე ვრცელდება გარანტია 3 (სამი) წლის ვადით.

5.4 მიმწოდებელი ვალდებულია საგარანტიო ვადის განმავლობაში შემსყიდველის მხრიდან ექსპლუატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში, საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას ექსპლუატაციის პროცესში გამოვლენილი ნებისმიერი ხარვეზი/წუნი (ტრანსპორტირების

ჩათვლით), საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს წუნდებული სამუშაოების ხარვეზების აღმოფხვრა, ხარვეზის/წუნის გამოვლენიდან შემყიდველის მიერ გაგზავნილი შეტყობინების მიღებიდან, შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში.

მუხლი 6. მომსახურების განხორციელების პირობები

6.1. მომსახურების განხორციელების და, შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების დადებიდან **არაუგვიანეს 2023 წლის 27 ივნისის ჩათვლით**.

6.2. მომსახურების განხორციელების ადგილია: **ქ. სამტრედია, ჭავჭავაძის ქ. N2 (ყოფ. სასტუმროს შენობა).**

მუხლი 7. მომსახურეობის მიღება–ჩაბარების წესი

7.1. მომსახურების (შესრულებული სარემონტო სამუშაოების) მიღება წარმოებს მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების გზით, რომელიც დგება და დასტურდება მხარეთა მიერ ამისათვის სათანადო უფლებამოსილი პირების ხელმოწერებით. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერაზე უფლებამოსილ პირად განისაზღვრება **სამინისტროს იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელი ნათია კოპალიანი.**

7.2. მომსახურების მიღება–ჩაბარების აქტი გაფორმდება, ერთი მხრივ, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი და შემსყიდველი ორგანიზაციის ინსპექტირების ჯგუფის მიერ დადასტურებული ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს შესახებ ინფორმაციასა (ფორმა N 2) და ფარული სამუშაოების აქტებზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაყრდნობით, ხოლო მეორე მხრივ - საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან (მათ შორის ფორმა N2-თან) ყველა შესრულებული სამუშაოს შესაბამისობის დადგენის მიზნით ჩატარებული ექსპერტიზის დადებითი დასკვნის საფუძველზე;

7.3. ექსპერტიზა ჩატარდება შემსყიდველის ხარჯების საფუძველზე შესაბამის სფეროში აკრედიტირებული კომპანიის მიერ.

მუხლი 8. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი და ადგილი

8.1. ,,მიმწოდებელთან'' ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

8.2. ანგარიშსწორება ,,მიმწოდებელთან'' განხორციელდება, მიღება–ჩაბარების აქტის შედგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

8.3. ანგარიშსწორებისათვის ,,მიმწოდებელი'' ვალდებულია შემსყიდველს წარუდგინოს მიღება–ჩაბარების აქტი და/ან საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურა.

8.4. საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

მუხლი 9. ,,შემსყიდველის'' უფლება–მოვალეობანი

9.1. ,,შემსყიდველს'' უფლება აქვს, მოსთხოვოს ,,მიმწოდებელს'' წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შეუფერხებელი გაწევა, ყველა ვალდებულების შესრულება და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ,,შემსყიდველის'' უფლებების რეალიზაციისათვის ხელშეწყობა.

9.2. ,,შემსყიდველი'' ვალდებულია აუნაზღაუროს ,,მიმწოდებელს'' ხელშეკრულების ღირებულება ხელშეკრულების პირობების შესასრულებლად.

9.3. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას გაწეული მომსახურების ღირებულება.
9.4. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე.

მუხლი 10. ,,მიმწოდებლის" უფლება–მოვალეობანი

10.1. მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობა.
10.2. მიმწოდებელი არ აგებს პასუხს შემსყიდველის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.
10.3 მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოს დასრულებისთანავე გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი სამშენებლო მოწყობილობა-დანადგარებისაგან და სამუშაოების წარმოების პროცესში წარმოქმნილი ნარჩენებისაგან.
10.4 მიმწოდებელი ვალდებულია აღადგინოს სამუშაოების წარმოების პროცესში მისი მიზეზით დაზიანებული ინფრასტრუქტურა.

მუხლი 11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, დააკისროს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, დაგვიანებით მიწოდებული სამუშაოების ღირებულების 0,3%- ის ოდენობით;
11.2. შემსყიდველი უფლებამოსულია, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების ან/და შეუსრულებლობის შემთხვევაში, ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ის ოდენობით;
11.3. დაკისრებული პირგასამტეხლო გადახდილ უნდა იქნას მხარისათვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადისა;
11.4. ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და მისაწოდებელი საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა;
11.5. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

მუხლი 12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და შეწყვეტა

12.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;
12.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო

კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

12.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%- ზე მეტი ოდენობით;

12.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

12.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 13. სადავო საკითხების გადაწყვეტა

13.1. „შემსყიდველმა“ და „მიმწოდებელმა“ უნდა იხმაროს ყველა ღონე, რათა მათ შორის, ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ, მოაგვარონ მოლაპარაკების წესით.

13.2. მხარეთა მიერ ოცდაათი (30) კალენდარული დღის განმავლობაში თანხმობის მიუღწევლობის შემთხვევაში, საქმე წარიმართება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის ნორმების შესაბამისად.

მუხლი 14. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდი და ძალაში შესვლის პირობები

14.1. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდი განისაზღვრება ხელმოწერის დღიდან **2023 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით**.

მუხლი 15. სხვა პირობები

15.1. ნებისმიერი გადახრა ან ცვლილება ამ ხელშეკრულების პირობებში დაიშვება მხოლოდ ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების საფუძველზე;

15.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების დროს ამ ხელშეკრულების ღირებულებისა და ანგარიშსწორებიდან გამომდინარე, ან რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, მათ შორის ფასების გადასინჯვის შესაძლებლობა, ასეთი ცვლილებები დასაშვებია ხელშეკრულების საერთო შინაარსის ფარგლებში;

15.3. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ქართულ ენაზე, ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად;

15.4. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით;

15.5. ხელშეკრულების ენაა ქართული. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის უნდა შეესაბამებოდეს სახელშეკრულებო პირობებს;

15.6. „მიმწოდებელს“ არ აქვს უფლება „შემსყიდველის“ წერილობითი თანხმობის გარეშე მოახდინოს მესამე პირისათვის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებებისა და ვალდებულებების გადაცემა;

15.7. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე და ხელმოწერილია „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 და მე-4 პუნქტების მოთხოვნის შესაბამისად.

მუხლი 16. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა სამინისტრო მის: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას ქ.N16, მე-7 სართული ტელ: ს/კ 249259582 ხაზინის ერთიანი ანგარიში TRESGE22 ელ. ფოსტა: devnilta.info@gmail.com **მინისტრის მოადგილე** **გიორგი ბულისკერია**	**ი/მ ავთანდილი ობოლაძე** იურიდ. მის: საქართველო, წყალტუბოს რ-ნი, სოფ.ქვიტირი ტელ: ს/კ 60001118924 სს ლიბერთი ბანკი ბანკის კოდი: LBRTGE22 GE74LB0112129691415000 **ავთანდილი ობოლაძე**

MINISTRY OF INTERNALLY DISPLACED PERSONS OF THE AUTONOMOUS REPUBLIC OF ABKHAZIA

Digitally signed by MINISTRY OF INTERNALLY DISPLACED PERSONS OF THE AUTONOMOUS REPUBLIC OF ABKHAZIA
Date: 2023.06.14 17:57:11 +04'00'

Avtandili Oboladze 60001118924

Digitally signed by Avtandili Oboladze
Date: 2023.06.14 19:32:27

ქ. სამტრედია, ჭავჭავაძის ქ. #2 (სასტუმრო "სამტრედია")
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა საკუთრებაში გადაცემული
საცხოვრებელი ობიექტის მცირეფასიანი და გადაუდებელი სარემონტო სამუშაოების

(მშენებლობის დასახელება)

დეფექტური აქტი

№	სამუშაოთა დასახელება	განზ.	სულ
1	2	3	4
1	სასმელი წყლის 2 ტონიანი ავზების მონტაჟი (ორშრიანი ლურჯი-თეთრი ცილინდრულ-ვერტიკალური)	ცალი	2,0

შეადგინეს:

იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებისა
და აჭარის ა/რ ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელის მოადგილე — გიორგი ლეკვეიშვილი

სსიპ "ეკონომიკური პროგრამების სააგენტო"ს უფროსი სპეციალისტი — ვახტანგ ჩიკვატია

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო სსიპ ეკონომიკური პროგრამების სააგენტო
LEPL ECONOMIC PROGRAMMES AGENCY
249251134

ქ. სამტრედია, ჭავჭავაძის ქ. #2 (სასტუმრო "სამტრედია")
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა საკუთრებაში გადაცემული საცხოვრებელი ობიექტის მცირეფასიანი და გადაუდებელი სარემონტო

(მშენებლობის დასახელება)

ლოკალურ-რესურსული ხარჯთაღრიცხვა
(საერთო სამშენებლო სამუშაოები)

/ობიექტის, სამუშაოს და დანახარჯების დასახელება/

სახარჯთაღრიცხვო ღირებულება - 2 163,00 ლარი

საფუძველი: დეფექტური აქტი

მათ შორის ხელფასი ლარი

შედგენილია 2023 წ. მე-2 კვარტ. დონეზე

№	საფუძველი	სამუშაოთა დასახელება	განზ.	ნორმატიული რესურსი		მასალა		ხელფასი		სამშენებლო მექანიზმები		ჯამი
				ერთ-ზე	სულ	ერთ. ფასი	სულ	ერთ. ფასი	სულ	ერთ. ფასი	სულ	
1	2'	3'	4'	5'	6'	7'	8'	9'	10'	11'	12'	13'
1	საბაზრო	სასმელი წყლის 2 ტონიანი ავზების მონტაჟი (ორშრიანი ლურჯი -თეთრი ცილინდრულ-ვერტიკალური)	ცალი		2,0							
		შრომის დანახარჯები	ცალი	1,0	2,0			100,0	200,0			200,00
		ორშრიანი ლურჯი-თეთრი ცილინდრულ-ვერტიკალური წყლის 2 ტონიანი ავზი	ცალი	1,0	2,0	550,0	1 100,0					1 100,00
		ავზების ატანა სახურავზე ხელით	ცალი	1,0	2,0			200,0	400,0			400,00
		ჯამი:							**600,0**			**1 700,00**
		ზედნადები ხარჯები:	**10%**									**170,00**
		ჯამი:										**1 870,00**
		მოგება:	**8%**									**149,60**
		ჯამი:										**2 019,60**
		დაგროვებითი საპენსიო გადასახადი (ხელფასიდან):	**2%**									**40,40**
		ჯამი:										**2 060,00**
		გაუთვალისწინებელი ხარჯები:	**5%**									**103,00**
		ჯამი:										**2 163,00**
		დღგ:	**18%**									
		მთლიანი ჯამი:										**2 163,00**

შენიშვნა 1: ხარჯთაღრიცხვის სავარაუდო ღირებულება გაანგარიშებულია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N55 დადგენილების (ტექნიკური რეგლამენტის - "სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური მოგების განსაზღვრის წესის" დამტკიცების შესახებ) გათვალისწინებით. ასევე ბაზრის კვლევისა და "მშენებლობის შემფასებელთა კავშირის" მიერ გამოცემული 2021 წლის II კვარტლის დონეზე "სამშენებლო რესურსების ფასთა კრებულის" საფუძველზე

შენიშვნა 2: წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვა საბაზრო ურთიერთობათა პირობებში განსაზღვრავს მშენებლობის წინასწარ ღირებულებას და არ წარმოადგენს დამკვეთსა და შემსრულებელს შორის გადახდის საშუალებას. სამუშაოების ჩატარების პერიოდში სამუშაოთა მოცულობები დაზუსტებული უნდა იქნას ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების მოცულობების შესაბამისად. ერთეული ღირებულებები სამუშაოების დასრულებისას გაკორექტირებულ უნდა იქნას შრომითი ხელშეკრულებების, ანგარიშ-ფაქტურებისა და საბაჟო დეკლარაციების (მასალები) მიხედვით, ასევე სატრანსპორტო მომსახურების და საიჯარო (ამწე, მანქანა-მექანიზმები, ხარაჩოები) ხელშეკრულებების შესწავლის შედეგად.

შეადგინა:

ინდივიდუალური მეწარმე ავთანდილი ობოლაძე (ს.ნ.60001118924)

ავთანდილი ობოლაძე

ხარჯთაღრიცხვა